



სამართლიანი არჩევნები

12:30 საათი, 2 ოქტომბერი, 2011

ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ კენჭისყრის დღის 12 საათის მდგომარეობით

“სამართლიანი არჩევნების“ ხელთ არსებული ინფორმაციით, ამომრჩეველთა აქტივობა კენჭისყრის დღის თორმეტი საათის მდგომარეობით შეადგენს 7042 ამომრჩეველს, რაც წარმოადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 12.37 პროცენტს.

ქ. თელავის #17 საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობა 12 საათისთვის შეადგენს 7001 მოქალაქეს, რაც წარმოადგენს ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობის 12.2 პროცენტს.

ორგანიზაციის დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით ამომრჩეველთა საერთო ოდენობა კენჭისყრის დაწყების მომენტისთვის (დილის 8 საათი) შეადგენდა 56 906 ამომრჩეველს, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით - 56 898 მოქალაქეს.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აკვირდება 2011 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს თელავის #17 საარჩევნო ოლქში.

„სამართლიანი არჩევნები“ არჩევნების მიმდინარეობას 40 უბნის დამკვირვებლისა და 2 მობილური ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს.

„სამართლიანი არჩევნების“ სადამკვირვებლო მისია ფინანსურად მხარდაჭერილია „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge